



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების
სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ა.ა.იპ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება
აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. სეფიეთის საბავშვო ბაღი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: *დარეჯან ზარანდია*

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: *ნინო მამრიკიშვილი*

კვების დარგში ექსპერტი: *სალომე ბოჭორიშვილი*

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: *მარინე ზარანდია*



ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	ა.ა.იპ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საადმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება
საიდენტიფიკაციო ნომერი	222450121
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (<i>არსებობის შემთხვევაში</i>)	აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. სეფიეთი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე (<i>არსებობის შემთხვევაში</i>)	
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი	აბაშის მუნიციპალიტეტი, აბაშა უჩა კაჭარავას ქ. N2



(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. სეფიეთი
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი (არსებობის შემთხვევაში)	
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) <input checked="" type="checkbox"/>	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) <input type="checkbox"/>
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ	
ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 7 25 0000556766 21/05/2025
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	19 და 20 ივნისი 2025 წელი
5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)	
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა



6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ					
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული "ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.					
N	პროგრამის სახე ¹	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“. სასკოლო მზაობის პროგრამა „ თამაში“	ქართული		25 ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება <input checked="" type="checkbox"/> არ ეთანხმება <input type="checkbox"/>



7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

19 და 20 ივნისს აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. სეფიეთის საბავშვო ბაღში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის წარმოდგენილ მტკიცებულებებს. ჩატარდა მოსამზადებელი ონლაინ შეხვედრა. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის დროს ადგილზე გაეცნო ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისთვის საჭირო დოკუმენტაციას, გარემოს და ინფრასტრუქტურას. ჩატარდა ინტერვიუები გაერთიანების და ბაღის წარმომადგენლებთან. დაწესებულების მხრიდან კონსტრუქციულმა დამოკიდებულებამ განაპირობა დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობების სრულფასოვნად შესრულება. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ თანამშრომლობით ვითარებაში.

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....
.....
.....
.....
.....



ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	დაწესებულების თვითშეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
1.1. დაწესებულების მისია	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა ² <i>(პროგრამის სახე) სკოლამდელი არზრდისა და განათლების პროგრამა</i> <i>(კურიკულუმის დასახელება) სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ 2- დან 5 წლამდე შერეული ჯგუფებისთვის</i>		

² ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე



2. კურიკულუმი	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება



ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება



4.2. პროცესების მართვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.3. მატერიალური რესურსი	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.7. ფინანსური რესურსი	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება



	<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
--	--	--



ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

1.1.	დაწესებულების მისია	12-17
1.2.	სტრატეგიული განვითარება	18-26
2.1.	კურიკულუმის დაგეგმვა	27-35
2.2.	კურიკულუმის განხორციელება	35-53
2.3.	კურიკულუმის შეფასება და განვითარება	53-56
3.1.	თანამშრომლობის დაგეგმვა	57-60
3.2.	თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	60-64
4.1.	პერსონალის მართვა და განვითარება	65-79
4.2.	პროცესების მართვა	79-84
4.3.	მატერიალური რესურსი.....	84-85
4.4.	კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	85
4.5.	სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	85-86
4.6.	ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	86-95
4.7.	ფინანსური რესურსი	95-99



1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

- 1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სეფიეთის საბავშვო ბაღს წარმოდგენილი აქვს მისია დოკუმენტით, - დანართი N3; ბრძანება N 91. 2023 წლის 6 ნოემბერი (აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების სტრატეგიული მიმართულებებისა და მისია, ხედავს ღირებულებების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ). მისია შემდეგნაირად ჟღერს - „ აბაშის მუნიციპალიტეტში მდგრადი და ეფექტიანი სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისთვის, საცხოვრებელი ადგილისა და შესაძლებლობების შეზღუდვის მიუხედავად“. წარმოდგენილი მისია ორიენტირებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე. გამოკვეთილია დაწესებულების, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცის როლი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ხედვა და ღირებულებები, რომელიც წარმოდგენილია დოკუმენტით - ბრძანება N 91. 2023 წლის 6 ნოემბერი -, „აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების სტრატეგიული მიმართულებებისა და მისია, ხედვა ღირებულებების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ”.

დაწესებულების ხედვაა: - აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებებში მდგრადი მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნა. სკოლამდელი აღზრდა და განათლება თანაბრად ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის. საბავშვო ბაღში აღსაზრდელები ჯანსაღ გარემოში იღებენ მომსახურებას. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას გათვალისწინებულია თითოეული ბავშვის ინტერესი, შესაძლებლობები და საჭიროებები. ყველა გადაწყვეტილება და ქმედება ეფუძნება და ითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. დაწესებულება ზრუნავს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე. დაწესებულებაში დასაქმებული აღმზრდელების განათლება და კვალიფიკაცია არის მაღალი ხარისხის.

დაწესებულების ღირებულებებია:- აღსაზრდელის საუკეთესო ინტერესებით ხელმძღვანელობა; განვითარება- საკუთარი საქმიანობის მუდმივი შეფასებითა და შემდგომი გაუმჯობესებით. პროფესიონალიზმი, თანამშრომელთა კვალიფიციურობა, გუნდურობა, ეფექტურობა, აღსაზრდელზე ორიენტირებულობა. საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გაცნობიერება და საბავშვო ბაღის ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ზრდა. დაწესებულების ხედვა გამომდინარეობს მისიიდან, დაწესებულების ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



.....
.....
.....
რჩევა

.....
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დასტურდება გაერთიანების მიერ დანართი N19 წარმოდგენილი ბრძანებით (N 72 2023 წლის 17 აგვისტო), რომლის საფუძველზეც შეიქმნა მისის, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული მიმართულებების შემუშავების და განხორციელების ჯგუფი. აღნიშნულმა ჯგუფმა ჩაატარა შეხვედრა აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ სეფიეთის საბავშვო ბაღის პერსონალთან, მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთან, სადაც მოხდა მისია, ხედვა ღირებულებებისა და სტრატეგიული მიმართულებების განხილვა. რაც დასტურდება ტყვირის საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი 2023 წლის 22 ივნისის ოქმით, რომელსაც არ აქვს ნომერი, ოქმში აღწერილია გაერთიანების მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა დაწესებულების წარმომადგენლებთან.

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესში, როგორც ინტერვიუების დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს დაინტერესებულ მხარეებად ჩართულები იყვნენ აღსაზრდელთა მშობლები, დაწესებულების თანამშრომლები და თემის წარმომადგენლები.

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რაც დასტურდება შემდეგი მტკიცებულებებით:- 1. აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის -2023 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N 72, რომლის საფუძველზეც შეიქმნა მისის, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული მიმართულებების შემუშავების და განხორციელების ჯგუფი. 2. სეფიეთის საბავშვო ბაღის მიერ წარმოდგენილი ოქმი, რომელშიც ასახულია მისია, ხედვა ღირებულებებისა და სტრატეგიული მიმართულებების განხილვის პროცესი, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

სასურველია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ოქმს ქონდეს სრულყოფილი რეკვიზიტები. არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მისია , ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან, რაც დასტურდება: - საბავშვო ბაღში გაერთიანების ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, დაწესებულების პერსონალთან, მშობლებთან, და თემის წარმომადგენლებთან ჩატარებული სამუშაო შეხვედრით, სადაც მოხდა- მისია, ხედვა ღირებულებებისა და სტრატეგიული მიმართულებების გაზიარება. გაზიარების პროცესი დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2023 წლის 22 ივნისის ოქმით და და პერსონალთან გასაუბრებით.



მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, რაც დასტურდება იმით, რომ თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული დაწესებულების საინფორმაციო დაფაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1. დანართი N 3-. ბრძანება N91 06.11 2023 აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების სტრატეგიული მიმართულებებისა და მისია, ხედვა ღირებულებების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ.
- 2. დანართი N 1- მისია ხედვა და ღირებულებები.



3. დანართი N 19- ბრძანება N72 (2023წლის 17 აგვისტო) აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების 2023- 2027 წ.წ. სტრატეგიული მიმართულებებისა და მისიის, ხედვისა და ღირებულებების დამტკიცების შესახებ.
4. დაწესებულების თვითშეფასება.
5. ბრძანება # 72 2023 წლის 17 აგვისტო. - მისია ხედვა ღირებულებების და სტრატეგიული მიმართულებების შემუშავებისა და განხორციელების სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ.
6. ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან
7. სეფიეთის საბავშვო ბაღის 2023 წლის 22 ივნისის ოქმი. მისია ხედვისა და ღირებულებების დამტკიცების შესახებ.
8. დანართი N 23 აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ განათლებაში მიმდინარე პროცესების ანალიზი.

შეფასება:			
1.1. დაწესებულების მისია			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც წარმოდგენილია სტატუსის მამიებლის თვითშეფასების ფორმის დანართად- დანართი N2 . ნრძანება N 105 2024 წლის 17 ოქტომბერი,- „სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ”.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ფორმას და პერიოდულობას. დაწესებულების მიერ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი დაგეგმილია ორჯერ, ორ წელიწადნახევრის გასვლის შემდეგ და სტრატეგიული პერიოდის ბოლოს, წერილობითი ფორმით ანგარიშების წარმოდგენის მეთოდით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ფორმას და პერიოდულობას. დაწესებულების მიერ სამოქმედო გეგმის მონიტორინგი გათვალისწინებულია ყოველკვარტალურად, წერილობითი ანგარიშების წარმოდგენის მეთოდით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული გეგმის შეფასების ფორმას და პერიოდულობას.

დაწესებულების მიერ სტრატეგიული გეგმის შეფასება გათვალისწინებულია ორ წელიწად ნახევრის გასვლის შემდეგ და სტრატეგიული პერიოდის დასრულებამდე 6 თვით ადრე. შეგროვილი მონაცემების ანალიზის საშუალებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს სამოქმედო გეგმის შეფასების ფორმას და პერიოდულობას. დაწესებულების მიერ სამოქმედო გეგმის შეფასება გათვალისწინებულია ყოველწლიურად, შეგროვილი მონაცემების ანალიზის საშუალებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. დაინტერესებულ მხარეებად განსაზღვრულია: 1. ბაღების გაერთიანების წარმომადგენელი/ წარმომადგენლები; 2.ბაღების წარმომადგენელი/ წარმომადგენლები; 3.მშობელი/ კანონიერი წარმომადგენელი/ საკონსულტაციო საბჭო; თემის/ პარტნიორი



ორგანიზაციის/ დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელი და სხვა. განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გზები:-ბალის ვებ-გვერდი; სოციალური მედია; ელექტრონული ფოსტა საჯარო ღონისძიებები და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული გეგმა,რომელიც არის ხუთწლიანი.

დაწესებულების სტრატეგიული გეგმა უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებულია N 91 ბრძანებით 06. 11. 2023 წ.- „აბაშის სკოლამდელი და სკოლის გარეშე საადმზრდელო დაწესებულებების სტრატეგიული მიმართულებებისა და მისია, ხედვა ღირებულებების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ“.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, რაც დასტურდება სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტით და საკოლის მიერ წარმოდგენილი 2025 წლის სამოქმედო გეგმით. 2024 წლის სამოქმედო გეგმის ანალიზით და ასევე დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს: მიზანი -1. კეთილმოწყობილი ფიზიკური გარემო და გამართული ინფრასტრუქტურა, ამოცანა:- ბავშვთა და თანამშრომელთა ფიზიკური ჯანმრთელობის დაცულობა, უსაფრთხოება, არამალადობრივი გარემოს შექმნა, საკუთარი თავის რელიზების შესაძლებლობა, გამართული ინფრასტრუქტურა, სტანდარტების შესაბამისი კვება, სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვა რეგლამენტის გათვალისწინებით; მიზანი- 2. ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა ,, ადრეული და სკოლამდელი არზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების ” შესაბამისად. ამოცანა: - სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება, თამაშზე დაფუძნებული კურიკულუმის განხორციელება, საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული განვითარება; მიზანი- 3. ოჯახისა და თემის მონაწილეობა, ამოცანა:- საბავშვო ბაღში მიმდინარე პროცესებში მშობლების / კანონიერი წარმომადგენლების/ თემის ჩართვა, მათთან კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების მეთოდების გამოყენება; მიზანი - 4. თითოეული ბავშვის თანაბარი ჩართულობა განურჩევლად მისი შესაძლებლობისა . ამოცანა:- ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა და შესაბამისი გარემოს შექმნა; მიზანი -5.სკოლამდელ დაწესებულებათა მართვა, შეფასება , თანამშრომელთა მიერ ფუნქცია - მოვალეობების შესრულება. ამოცანა: - ,, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ ” საქართველოს კანონით განსაზღვრული სტანდარტებისა და რეგულაციების შესრულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა



.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 27 დეკემბრის N 131 ბრძანებით.- „ 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ”

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი, მორგებულია კალენდარულ წელს. წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას. სტრატეგიულ მიზნად დაწესებულებას დასახული აქვს -1. გამართული ინფრასტრუქტურის შექმნა; 2. ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა. 3. ოჯახისა და თემის მონაწილეობა; 4. თითოეული ბავშვის თანაბარი ჩართულობა განურჩევლად მისი შესაძლებლობისა; 5. სკოლამდელ დაწესებულებათა მართვა, შეფასება, თანამშრომელთა მიერ ფუნქცია- მოვალეობის შესრულება. დაწესებულების მიერ სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობები სტრატეგიული მიზნის შესაბამისაა.

წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა ეფუძნება დაწესებულების თვითშეფასებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



.....
.....
.....
რჩევა

.....
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები: თემის რესურსების გამოყენება კურიკულუმის განხორციელებაში.; პერსონალის მუდმივი პროფესიული განვითარება; კვების ბლოკის უზრუნველყოფა სტანდარტული ინვენტარით, ჭურჭლით და სხვა. აქტივობები შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, ასევე გაწერილია აქტივობების შესრულების თვისებრივად და რაოდენობრივად გაზომვადი ინდიკატორები. ასევე ყველა აქტივობაზე გაწერილია აქტივობის შესრულების რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები ან სტრუქტურული ერთეულები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში არ არის გაწერილი ფინანსური რესურსები. ფინანსური რესურსების გრაფა შეუვსებელია, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა დამტკიცებული 2025 წლის, ბიუჯეტი სადაც გათვალისწინებულია ფინანსური რესურსი თითოეული აქტივობისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები გაწეროს სამოქმედო გეგმის შესაბამის გრაფაში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი უნდა განხორციელდეს ორ წელიწად ნახევარში აღნიშნული პერიოდი დაწესებულებისთვის ჯერ არ დამდგარა.

მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული გეგმის შეფასებას, რაც დაგეგმილია ორ წელიწად-ნახევარში, აღნიშნული პერიოდი დაწესებულებისთვის ჯერ არ დამდგარა.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, რაც დასტურდება მონიტორინგის კითხვარებით და 2024 წელს აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშით, ასევე ვიზიტის დროს გაერთიანების მიერ წარმოდგეილი სამოქმედო გეგმის სხვადასხვა მიმართულებით შედგენილი კვარტალური ანგარიშებით.



დაწესებულება ახორციელებს მეთოდოლოგიის შესაბამისად გაწერილი სამოქმედო გეგმის შეფასებას. რაც დადასტურდა 2024 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშითა და დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუებით. ასევე პირველი კვარტლის ანგარიშით, რომელიც დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა.

რომელიც დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტრატეგიული განვითარების შესრულების შედეგები დაწესებულებას ჯერ არ აქვს. რადგანაც მეთოდოლოგიით განსაზღვრული პერიოდი ჯერ არ დამდგარა. სამოქმედო გეგმების პირველი კვარტლის შესრულების შედეგები სტატუსის მაძიებელმა ადგილზე ვიზიტის დროს წარმოადგინა წერილობითი ფორმით, ანგარიშების სახით, მიმართულებების მიხედვით.

სტრატეგიული განვითარების შედეგები დაწესებულებას ჯერ არ გამოუქვეყნებია, რადგანაც მეთოდოლოგიით განსაზღვრული პერიოდი ჯერ არ დამდგარა. რაც შეეხება სამოქმედო გეგმას სტატუსის მაძიებელს 2024 წლის შედეგები გამოქვეყნებული აქვს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ხოლო სამოქმედო გეგმის ყოველკვარტალურ ანგარიშებს წარუდგენს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიას.

როგორც სტატუსის მაძიებელთან იტერვიუს დროს გაირკვა, დაწესებულება სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს იყენებს შემდგომი განვითარებისთვის, რაც დასტურდება 2025 წლის სამოქმედო გეგმით და პირველი კვარტლის ფინანსური ანგარიშით, რომლის საფუძველზეც, როგორც იტერვიუს დროს აღნიშნეს დაგეგმილია ცვლილებები ბიუჯეტში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დანართი N 2.ბრძანება N105 2024 წ. 17 ოქტომბერი „მისია ხედვა ღირებულებების და სტრატეგიული მიმართულებების შემუშავებისა და განხორციელების სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ”.

2. ბრძანება # 72 2023 წლის 17 აგვისტო. - „მისია ხედვა ღირებულებების და სტრატეგიული მიმართულებების შემუშავებისა და განხორციელების სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ”
3. დანართი 22 მონიტორინგი ავტორიზაციის ჩატარების შესახებ
4. დანართი 3. ბრძანება N 91 06. 11. 2023 წ. „ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულების სტრატეგიული მიმართულებებისა და მისია, ხედვა ღირებულებების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ”.
5. დანართი 3. ბრძანება N 131 2024 წლის 27 დეკემბერი. - „, 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.”
6. დანართი N 20. - 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი
7. დანართი N22 მონიტორინგი ავტორიზაციის შესახებ
8. ადანართი N23. ბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ განათლებაში მიმდინარე პროცესების ანალიზი.
9. დანართი N21 მონიტორინგი ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.
10. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება.

შეფასება:			
1.2. სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

პროგრამის სახე

1) სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

კურიკულუმის დასახელება

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (ნაწილი I, ნაწილი II)
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის დეკლარირების ამსახველი დოკუმენტები:

- აბაშის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში 2-დან 5 წლამდე და შერეულ ჯგუფებში ადრეული განათლების კურიკულუმი თამაშის განხორციელების შესახებ სკოლამდელი და სკოლისგარეშე საადმინისტრაციო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 12 ნოემბრის ბრძანება # 120
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაშის“ და „აქტივობათა კრებული“-ს დამტკიცების შესახებ სკოლამდელი და სკოლისგარეშე საადმინისტრაციო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება # 107

ამდენად, დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში (აბაშის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში 2-დან 5 წლამდე და შერეულ ჯგუფებში ადრეული განათლების კურიკულუმის „თამაშის“ განხორციელების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საადმინისტრაციო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 12 ნოემბრის N 120 ბრძანებაში მოხსენიებულია შემდეგნაირად: 2-დან 5 წლამდე და შერეულ ჯგუფებისათვის კურიკულუმი „თამაში“, არ არის მითითებული პირველ ნაწილზე საუბრი, მეორე, თუ ორივეზე, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციათა საქაღალდეში მოცემულია ორივე ნაწილი, ასევე

პერსონალთან ინტევიუდან ნათელია, რომ დაწესებულება ხელმძღვანელობს კურიკულუმის როგორც პირველი, ასევე მეორე ნაწილით.

- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი.

დაწესებულებამ წარმოადგინა საბავშვო ბაღებში კურიკულუმის ჩარჩოს, დღის განრიგის, წლის და ყოველკვირეული სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 30 ოქტომბრის ბრძანება N112, რომლის დანართითაც განსაზღვრულია კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შემადგენლობაც, თუმცა ვერ წარმოადგინა ზემოაღნიშნული ჯგუფის მიერ კურიკულუმების შერჩევის პროცესის ამსახველი პირდაპირი დოკუმენტები, კერძოდ მტკიცებულებებში ვერ ვხვდებით სამუშაო ჯგუფის მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების ამსახველ მასალებს ოქმებს, ფოტომასალას, მაგრამ ერთ-ერთ ოქმში (ოქმი „კურიკულუმის დაგეგმვა, თემთან და ოჯახთან შეხვედრა, ‘კურიკულუმი თამაშის’ გაცნობა“; 05.11.2024 (ოქმს ნომერი არ აქვს)) ნახსენებია, რომ აღნიშნულ შეხვედრაზე „მეთოდისტმა ისაუბრა კურიკულუმის დაგეგმარებაზე“.

დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალის ინტერვიუების მიხედვით, კურიკულუმის შერჩევის პროცესზე აქტიური ფიქრი ჯერ კიდევ 2023 წლიდან დაიწყო. ამის საფუძველი იყო აღმზრდელ-პედაგოგებისთვის განკუთვნილი პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული, რომელმაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია პერსონალის დამოკიდებულებებსა და მიდგომებზე. ტრენინგზე მიღებული ცოდნის გაზიარება თავდაპირველად მეთოდისტებმა დაიწყეს, რასაც შემდგომ ეტაპზე აღმზრდელების ჩართულობა მოჰყვა. ერთ-ერთ ინტერვიუში მეთოდისტი აღნიშნავს, რომ სწორედ ეს ტრენინგები დაეხმარათ მათ გადაწყვეტილების მიღებაში - შეერჩიათ ზემოაღნიშნული კურიკულუმები. ინტერვიუებიდან ასევე ჩანს, რომ პერსონალი კურიკულუმის შერჩევასთან დაკავშირებულ საკითხებზე რეგულარულად მართავდა მსჯელობასა და გუნდურ განხილვებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

მიუხედავად იმისა, რომ პერსონალის ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ კურიკულუმის შერჩევა მონაწილეობით პროცესს ეფუძნებოდა, დამატებითი ყურადღება უნდა მიექცეს შერჩევის პროცესის ფორმალიზებას და დოკუმენტურ დასაბუთებას, რაც

პირდაპირ შეესაბამება „ადრეული განათლების კურიკულუმის შერჩევის, შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით“ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ამდენად, სასურველია შეიქმნას კურიკულუმის შერჩევის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია, კერძოდ:

- კურიკულუმის შერჩევის პროცესზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება, რომელშიც მითითებული იქნება არა მხოლოდ წევრთა ვინაობა, არამედ განსაზღვრული იქნება პროცესის მიმდინარეობაზე პასუხისმგებელი პირი, და გაწერილი იქნება მათი ფუნქციები.
- შეხვედრების ოქმები, სადაც ასახული იქნება განხილული კურიკულუმის ვარიანტები, კურიკულუმის შერჩევის პროცესი და მიღებული გადაწყვეტილებები;

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში (I და II ნაწილი)
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი.

აღნიშნული კურიკულუმები ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას რაც ვლინდება: განვითარების ყველა ძირითადი სფეროს დაფარვაში, თამაშზე დაფუძნებულ მიდგომაში, ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებაში, ოჯახთან და თემთან თანამშრომლობის ხელშეწყობაში; განვითარებაზე ორიენტირებულ შეფასების სისტემაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



.....
.....
რჩევა
.....
.....

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი თამაშში (I და II ნაწილი)
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი.

ზემოაღნიშნული კურიკულუმები ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება შემდეგში:

- ბავშვებს აქვთ თავისუფლება აირჩიონ აქტივობა, თავად დაასახელონ თემა, იპოვონ გადაჭრის გზები და გამოხატონ საკუთარი აზრი თამაშის საშუალებით;
- სივრცე დაყოფილია ცენტრებად, რაც ქმნის ხელსაყრელ პირობებს თამაშისთვის;
- აღმზრდელი თამაშის პროცესში მოქმედებს როგორც პარტნიორი და დამკვირვებელი, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ინიციატივას.
- თემატური ერთეულები ვითარდება თამაშის ფორმატში და ებმება ბავშვის ყოველდღიურ გამოცდილებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



.....
.....
რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში (I და II ნაწილი)
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი.

აღნიშნული კურიკულუმები ითვალისწინებს ოჯახთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: სასწავლო - საადმინისტრაციული პროცესში მშობლის როლის აღიარებაში, მშობელთა შეხვედრების, კონსულტაციებისა და ღია კარის დღეების ორგანიზებაში, ოჯახური რესურსების გამოყენებაში საგანმანათლებლო პროცესის გამდიდრების მიზნით, ოჯახური გარემოსა და საჭიროებების გათვალისწინებაში ინდივიდუალური დაგეგმვისას, კურიკულუმის გადახედვისა და გაუმჯობესების პროცესში მშობელთა შეფასებისა და წინადადებების ინტეგრირებაში.

კურიკულუმი ითვალისწინებს თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: საგანმანათლებლო გარემოს გაფართოებაში თემის სივრცეებში, თემის წარმომადგენელთა ჩართვაში, თანამშრომლობითი ღონისძიებების ორგანიზებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



.....
.....
რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში (I და II ნაწილი)
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი.

აღნიშნული კურიკულუმები ითვალისწინებს მრავალფეროვან საქმიანობებს, რაც ვლინდება იმაში, რომ ბავშვებს ყოველდღიურად ეძლევათ სხვადასხვა ტიპის აქტივობებში მონაწილეობის საშუალება. აქტივობები ინტერაქტიურია და ორიენტირებულია ბავშვის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობაზე. მრავალფეროვნება ვლინდება კურიკულუმის მეთოდში თემა და პროექტი, რაც თავისთავად მოიცავს როგორც დაწესებულებაში განხორციელებულ აქტივობებს, ასევე საგანმანათლებლო გარემოს გაფართოებაში თემის სივრცეებში, თემის წარმომადგენელთა ჩართვაში, თანამშრომლობითი ღონისძიებების ორგანიზებაში.

აღნიშნული კურიკულუმები ითვალისწინებს ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც ვლინდება იმაში, რომ კურიკულუმის მიხედვით აქტივობები იგეგმება ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების შესაბამისად. გათვალისწინებულია შერეული ასაკობრივი ჯგუფების საჭიროებები. უზრუნველყოფილია ბავშვების ინდივიდუალური ტემპით ჩართვის, გამოწვევის მიღებისა და წარმატების განცდის შესაძლებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში (I და II ნაწილი)
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი.

აღნიშნული კურიკულუმები გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან, ოჯახთან და თემთან, რაც დასტურდება პერსონალთან ინტერვიუს დროს. საგანმანათლებლო პერსონალი, ასევე ბაგა-ბაღის ხელმძღვანელი გასაუბრებისას ადასტურებენ, რომ შერჩეული კურიკულუმები გაზიარებულია მათთან დაწესებულების მეთოდისტი მიერ. დაწესებულების მეთოდისტი აღწერს აღნიშნულ პროცესს.

აღნიშნული კურიკულუმები გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან, ოჯახთან და თემთან, რაც დასტურდება პერსონალთან ინტერვიუს დროს. საგანმანათლებლო პერსონალი, ასევე ბაგა-ბაღის ხელმძღვანელი გასაუბრებისას ადასტურებენ, რომ შერჩეული კურიკულუმები გაზიარებულია მათთან დაწესებულების მეთოდისტი მიერ. დაწესებულების მეთოდისტი აღწერს აღნიშნულ პროცესს და ამბობს, რომ ამისათვის შეიქმნა სამი ზონა, თითოეულ ზონის ერთ-ერთ ბაღში შეიკრიბა რამდენიმე ბაღის პერსონალი, მათ განიხილეს და გააზიარეს შერჩეული კურიკულუმები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ერთ-ერთ ოქმში ((ოქმი „კურიკულუმის დაგეგმვა, თემთან და ოჯახთან შეხვედრა, კურიკულუმი თამაშის“ გაცნობა“; 05.11.2024) ვკითხულობთ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია მშობლებთან და თემთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ ოქმში, არ არის ერთმანეთისაგან გამიჯნული ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ (ყველგან მოხსენიებული ზოგადად კურიკულუმი „თამაში“, ან/და კურიკულუმები).

დაწესებულებას აქვს კურიკულუმის დამტკიცების, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი (კურიკულუმის დამტკიცების, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 30 ოქტომბრის N110 ბრძანება). ზემოაღნიშნული წესი ითვალისწინებს კურიკულუმის გაზიარებას მშობლებთან და თემთან/მუნიციპალიტეტთან, შესაბამისად დაწესებულების დირექტორი, ასევე მეთოდისტი და ბაგა - ბალის ხელმძღვანელი ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ ისინი საკომუნიკაციო გეგმის წესით (საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 30 ოქტომბრის N108 ბრძანება) გათვალისწინებული სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით აწვდიან მათ ინფორმაციას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

მნიშვნელოვანია გაიმძღვანოს კურიკულუმები ერთმანეთისაგან და მათ გაზიარების პროცესს შესახებ ინფორმაციის ასახვისას გამოიკვეთოს, რომ მოხდა როგორც ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“-ს, ასევე სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“-ს გაზიარება.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში 2-დან 5 წლამდე და შერეულ ჯგუფებში ადრეული განათლების კურიკულუმის „თამაშის“ განხორციელების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 12 ნოემბრის ბრძანება N 120
2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“-ს და „აქტივობათა კრებული“-ს დამტკიცების შესახებ, აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება N107
3. კურიკულუმის დამტკიცების, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 30 ოქტომბრის N110 ბრძანება
4. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 30 ოქტომბრის N108 ბრძანება
5. აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების 2023-2027 წ.წ. სტრატეგიული მიმართულებების და მისიის, ხედვისა და ღირებულებების დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 17 აგვისტო N72 ბრძანება
6. საბავშვო ბაღებში კურიკულუმის ჩარჩოს, დღის განრიგის, წლის და ყოველკვირეული სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 30 ოქტომბრის ბრძანება N112
7. ოქმი „კურიკულუმის დაგეგმვა, თემთან და ოჯახთან შეხვედრა, ‘კურიკულუმი თამაშის‘ გაცნობა“; 05.11.2024.

შეფასება:			
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში (I და II ნაწილი)
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი.

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი (ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში (I და II ნაწილი) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობას და პერიოდულობას განსაზღვრავს შემდეგნაირად: საგანმანათლებლო პროცესი იგეგმება გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების გამოყენებით, გრძელვადიანი გეგმებიდან წარმოდგენლია წლიური გეგმები, მოკლევადიანი გეგმებიდან კი ყოველკვირეული და ინდივიდუალური გეგმები. აღნიშნული გეგმები დამტკიცებულია „საბავშვო ბაღებში კურიკულუმის ჩარჩოს, დღის განრიგის, წლის და ყოველკვირეული სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 30 ოქტომბრის N112 ბრძანებით. გრძელვადიანი გეგმა ასახავს წლის განმავლობაში განსახორციელებელ თემატურ მიმართულებებს. მოკლევადიანი გეგმები ეფუძნება დაკვირვებასა და ბავშვების ინტერესებს.

დღის განრიგი უზრუნველყოფს ბავშვისთვის დროის იმგვარად განაწილებას, რომ გათვალისწინებული იყოს როგორც ინდივიდუალური თამაში, ასევე ჯგუფური აქტივობები, რუტინები, ტრანზიციები და დასვენება.

დაწესებულებას აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის მექანიზმი (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 11 ნოემბრის N118 ბრძანება), რომელში გაწერილი პერიოდულობა და ხანგრძლივობა შემდეგნაირია: საგანმანათლებლო პროცესი იგეგმება კურიკულუმთან შესაბამისობაში და ორ ეტაპად – გრძელვადიანი (წლიური) და მოკლევადიანი (ყოველკვირეული) გეგმების ფორმატით. გრძელვადიანი გეგმა შემუშავებულია ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. მოკლევადიანი გეგმების გაწერას კი ახდენს აღმზდელი.

სასკოლო მზაობის ჯგუფისათვის დაწესებულებას არ აქვს დამტკიცებული მოკლევადიანი გეგმის ფორმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

სასკოლო მზაობის ჯგუფისათვის დაწესებულებამ დაამტკიცოს მოკლევადიანი გეგმის ფორმა, აღმზრდელმა აქტივობები გაწეროს შესაბამის გეგმაში.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც, 12 თვის ვადაში, დაწესებულება სასკოლო მზაობის ჯგუფისათვის მოკლევადიანი გეგმის ფორმის შექმნის მიზნით, გეგმავს სამუშაო ჯგუფის შექმნას, შემუშავებული გეგმის ფორმის დამტკიცებას და საგანმანათლებლო პერსონალისათვის გაცნობას, რათა აღმზრდელებმა სასკოლო მზაობის ჯგუფისათვის აქტივობები გაწერონ შესაბამის ფორმაში.

შესაბამისობის აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აქედან გამომდინარე - **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 11 ნოემბრის N118 ბრძანება). აღნიშნული წესის შესაბამისად, საგანმანათლებლო პერსონალი შეთანხმებულად შეიმუშავებს გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს. მოკლევადიანი გეგმების შემუშავებაში ჩართულია სხვა პერსონალიც. გეგმების შედგენის პროცესში ჯგუფის აღმზრდელებისა და მუსიკის მასწავლებლის ჩართულობა, ასევე გეგმებში არსებულ ინდივიდუალიზაციაში ფსიქოლოგის თანამონაწილეობა დასტურდება თავად გეგმებისა და ინტერვიუს საფუძველზე (ინტერვიუში, თანამონაწილეობის შესახებ საუბრობს აღმზრდელი, მუსიკის მასწავლებელი და ასევე ფსიქოლოგი).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება დოკუმენტაცია:

- დღის განრიგი
- აღმზრდელის პორტფოლიო
- მუსიკის მასწავლებლის პორტფოლიო
- ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს, რაც ვლინდება იმაში, რომ:

- დღის განრიგში გათვალისწინებულია ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები. დაცულია ბალანსი აღმზრდელის მიერ ინიცირებულ და ბავშვის მიერ ინიცირებულ თამაშებს შორის, წყნარ და მოძრავ თამაშებს შორის, მცირე და დიდი ჯგუფის აქტივობებს შორის.
- აღმზრდელის პორტფოლიო მოიცავს გრძელ - და მოკლევადიან გეგმებს. გეგმებში თემატიკა შერჩეულია ისე, რომ შეესაბამება ბავშვების ბუნებრივ ცნობისმოყვარეობასა და ინტერესს. ყოველდღიური აქტივობები და მასალები ისე არის შერჩეული, რომ ხელს შეუწყობს თითოეული ბავშვის ჩართულობას - როგორც დამოუკიდებლად, ისე თანატოლებთან თანამშრომლობით და უზრუნველყოფს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას. აღმზრდელის დოკუმენტაცია მოიცავს ასევე მშობელთა კლუბის სამოქმედო გეგმას, მშობლის კითვარების ფორმებს, რაც ადასტურებს თანამშრომლობის მნიშვნელობის აღიარებას და მზაობას პარტნიორული პრაქტიკისთვის.



აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- დღის განრიგი
- ყოველკვირეული გეგმები

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს რაც ვლინდება მასში, რომ გეგმის ფორმა საშუალებას იძლევა აისახოს:

- ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები. ამისათვის მოკლევადიანი გეგმების ფორმებში არის დაკვირვებისა და რეფლექსიის სივრცე;
- ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებსა და თავისებურებებს, რაც ასევე გეგმებში დაკვირვება/რეფლექსიის გრაფის არსებობით არის შესაძლებელი;
- სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა - ვლინდება

სხვადასხვა ცენტრებსა და სივრცეებში განაწილებული აქტივობებისათვის გამოყოფილ ველებში;



- ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები - აისახება საგანმანათლებლო პერსონალის რეფლექსიის ჩანაწერებისთვის გამოყოფილ ველში;

დღის განრიგი დაბალანსებულია აქტიური და პასიური, მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობებით, ტრანზიციებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები, რაც ვლინდება იმაში, რომ დღის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების დიდი ნაწილი ხორციელდება თამაშის სხვადასხვა ფორმით, საგანმანათლებლო მიზნები ინტეგრირებულია თამაშში ისე, რომ ბავშვებს ვითარდებიან და სწავლობენ ბუნებრივ, სახალისო და მოტივირებულ გარემოში. ეს დასტურდება მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებში, სადაც აღწერილია თამაშზე დაფუძნებული აქტივობები; გარემოს მოწყობით; პერსონალის ინტერვიუებით.

დიდი ტრანზიციების წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები, რაც ვლინდება იმაში, რომ ბავშვების სივრციდან სივრცეში გადასვლა (მაგ. ოთახიდან ეზოში, სეირნობიდან ოთახში, კვებაზე გადასვლა) წარმართება თამაშით ან რიტუალიზებული მოქმედებით; გამოიყენება სიმღერა, ცეკვა ტრანზიციის წინ მოტივაციის ასამაღლებლად; ტრანზიციის აღქმულია თამაშის გაგრძელებად და არა მკვეთრ გადართვად. ეს დასტურდება აღმზრდელთან ინტერვიუებით და მოკლევადიან გეგმებში.

მცირე ტრანზიციების წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები, რაც ვლინდება იმაში, რომ აქტივობიდან აქტივობაზე (მაგ. ხატვიდან კითხვის კუთხეში, სენსორული კუთხიდან დასვენებაზე) გადასვლა წარმართება სიმღერით, სიტყვიერი რიტუალით, მოძრაობითი იმიტაციით ან თამაშით. ეს დასტურდება აღმზრდელთან ინტერვიუებით და მოკლევადიან გეგმებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ, რაც ჩანს დღის განრიგში გაწერილი აქტიური და პასიური, მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობებისა და ტრანზიციების ბალანსით.

ასევე ყოველკვირულ გეგმებში, კერძოდ, გეგმის ფორმა ორიენტირებულია სხვადასხვა ტიპის თამაშზე. სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა ვლინდება სხვადასხვა ცენტრებსა და სივრცეებში განაწილებული აქტივობებისათვის გამოყოფილ ველებში; ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები აისახება საგანმანათლებლო პერსონალის რეფლექსიის ჩანაწერებისთვის გამოყოფილ ველში.



აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი დოკუმენტით: „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 11 ნოემბრის N 118 ბრძანება.

მექანიზმში გაწერილი პროცესი უზრუნველყოფს რესურსების მიწოდებას შეუფერხებლად, რაც ვლინდება თავად მექანიზმში, სადაც აღწერილია თუ როგორ ხდება საჭიროებების იდენტიფიცირება (ჩანაწერი - „ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს“, „ბავშვის ჰოლისტრი განვითარებისათვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს“); როგორ ხდება მათზე რეაგირება („მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა ხდება საგანმანათლებლო პერსონალის

ჩართულობით და მტკიცდება ბრძანებით); განსაზღვრულია, თუ რა პერიოდულობით ხდება რესურსების განახლება (მითითებლია, რომ ყოველწლიურად).

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პერსონალისა და ხელმძღვანელის განმარტებით, მოქმედებს მექანიზმის შესაბამისად. ინტერვიუში, აღმზრდელი აღნიშნავს, რომ წლის დასაწყისში სხვა საგანმანათლებლო პერსონალთან ერთად განსაზღვრავს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხას, აღნიშნულის შესახებ კი ინფორმაციას აწვდის ბაგა-ბაღის ხელმძღვანელს, რომელიც თავის მხრივ წარუდგენს ნუსხას დაწესებულების დირექტორს. თუმცა აღნიშნული ნუსხის დამტკიცების შესახებ ბრძანება დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა.

დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება (N8; 16.12.2024), რომლითაც დასტურდება აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულების მიერ გარკვეული საგანმანათლებლო რესურსის შეძენა, მიღება - ჩაბარების აქტი (აქტი N251; 23.12.2024), რომლითაც დასტურდება, რომ დაწესებულებამ მიღო საგანმანათლებლო რესურსი, და ასევე მიღება - ჩაბარების აქტი (24.12.2024) რომლითაც დასტურდება, რომ შეძენილი რესურსი გადასცა საბავშვო ბაღს - თუმცა წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტები მხოლოდ ნაწილობრივ ასახავენ ბაღში არსებულ რესურსებს. ბაგა-ბაღის ადმინისტრაციამ წარმოადგინა ასევე საინვენტარიზაციო აღწერა, რომელიც თარიღდება 2023 წლის 12 დეკემბრით (აღნიშნულ დოკუმენტში არსებული რესურსი არ წარმოადგენს ბაღში არსებული რესურსის სრულ აღწერას).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

- ოქმად შედგეს შეხვედრა, სადაც პედაგოგები მონაწილეობენ რესურსების საჭიროებების იდენტიფიცირებაში.
- დაწესებულებამ დაამტკიცოს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა ბრძანებით.
- განახლდეს საინვენტარიზაციო აღწერის დოკუმენტი (ჩატარდეს ინვენტარიზაცია).

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც, 12 თვის ვადაში, დაწესებულება, საგანმანათლებლო პერსონალის მონაწილეობით უზრუნველყოფს საჭირო რესურსების იდენტიფიცირებას, ამ რესურსების ნუსხის ბრძანებით დამტკიცებას, ასევე საინვენტარიზაციო აღწერის დოკუმენტის განახლებას. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე - ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმი ს შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი. ვერ მოვიკვლიეთ ჩანაწერი, თუ დაანგარიშების როგორი სქემა არსებობს, კერძოდ რა რაოდენობის საგანმანათლებლო რესურსის შექმნაა გათვალისწინებული ერთ ბავშვზე (სათამაშო, საკანცელარიო მასალა). დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება (N8; 16.12.2024), რომლითაც დასტურდება აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულების მიერ გარკვეული საგანმანათლებლო რესურსის შექმნა, მიღება - ჩაბარების აქტი (N251; 23.12.2024), რომლითაც დასტურდება, რომ დაწესებულებამ მიღო საგანმანათლებლო რესურსი, და ასევე მიღება - ჩაბარების აქტი (24.12.2024) რომლითაც დასტურდება, რომ შექმნილი რესურსი გადასცა საბავშვო ბაღს - თუმცა წარმოდგენილი აქტებით გათვალისწინებული რესურსი არ არის ბავშვთა იმ რაოდენობის შესაბამისი, რომელზეც დაწესებულება ითხოვს სტატუსს.

ვიზუალური დათვალიერებით დაწესებულებაში წარმოდგენილია მრავალფეროვანი ბუნებრივი და მეორადი მასალა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

- დაწესებულებამ შექმნას საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ნუსხა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, რომელიც ასახავს როგორც რესურსის სახეობებს, ასევე რაოდენობრივ მინიმუმს თითოეულ ბავშვზე. აუცილებელია არსებობდეს ფიქსირებული ფორმულა ან მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს, რა რესურსი სჭირდება ბაღს ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით (მაგალითად: 1 მაკრატელი 2 ბავშვზე და ა.შ.)
- აღნიშნული ნუსხა დამტკიცდეს ადმინისტრაციული აქტით (ბრძანება) და გახდეს დაწესებულების პრაქტიკის ნაწილი.

- შეიქმნას დეტალური რესურსების რეესტრი, რომელიც მოიცავს მაგალითად: რესურსის სახეობას, რაოდენობას, განთავსების ლოკაციას; შეძენის თარიღსა და წყაროს და სხვა.
- პერიოდულად ჩატარდეს ინვენტარიზაცია (წელიწადში ერთხელ ან ორჯერ).

რჩევა

- მიუხედავად იმისა, რომ მშობელთა ჩართულობა და ბუნებრივი თუ მეორადი მასალების გამოყენება მნიშვნელოვანი, ის ვერ უნდა იყოს სისტემური რესურსის შევსების მექანიზმის ჩანაცვლება.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც, 12 თვის ვადაში, დაწესებულება დაადგენს საგანმანათლებლო რესურსის საჭიროებას, განსაზღვრავს ერთ ბავშვზე საჭირო საგანმანათლებლო რესურსის რაოდენობას და დაამტკიცებს ნუსხას.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აქედან გამომდინარე - ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები განსაზღვრავს ფიზიკური გარემოს მოწყობის სპეციფიკას შემდეგნაირად: ფიზიკური გარემო უნდა იყოს მოწყობილი ისე, რომ პასუხობდეს კურიკულუმის მიზნებს, ბავშვის განვითარების სტანდარტსა და პროგრამის ხარისხის სტანდარტს, აღძრავდეს ბავშვებში ცნობისმოყვარეობას, წახალისოს კვლევა, კითხვების დასმა, შემოქმედებითობა, ემოციური და სოციალური უნარების განვითარება.

სივრცე უნდა იყოს მორგებული ბავშვთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებზე, უზრუნველყოფდეს თავისუფალ, ინიციატივაზე დაფუძნებულ თამაშსა და მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობას როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე ჯგუფებში.

კურიკულუმში ასევე ითვალისწინებს ოთახის ფიზიკურ მახასიათებლებს - განათება, სივრცის ზომა, უსაფრთხოება - და აძლევს პერსონალს რეკომენდაციას, როგორ გამოიყენოს ეს გარემო თანამშრომლობისა და ჯგუფის ერთობის გასაძლიერებლად.

დაწესებულებაში არსებული ჯგუფური ოთახების ფიზიკური სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება გარემოს მოწყობაში შემდეგნაირად:

ოთახი არ არის მყუდრო, მას აქვს ოთხი კარი (შესასვლელი, სასადილოში გასასვლელი, აივანზე გასასვლელი და საპირფარეოს კარი). კედლები მწვანე ფერად არის შეღებლი (არ არის ნეიტრალური ფერი), დაყოფილია სხვადასხვა სათამაშო სივრცეებად (ცენტრებად), თითოეული სივრცე აღჭურვილია მრავალფეროვანი და მრავალგვარი რესურსით, მათ შორის ბუნებრივი და მეორადი მასალით. რესურსი კონტეინერებში და სხვადასხვა სათავსოებშია დახარისხებული, შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით. ავეჯი არის ბავშვის სიმაღლის (სხვადასხვა ფერის, მათ შორის ზოგიერთი კარადა ნეიტრალური ფერისა).

დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება შემდეგში: ეზოში გამოყოფილია ადგილები მოძრავი თამაშებისათვის, აქვთ სივრცე მხიარული სტარტებისათვის, ბურთის თამაშისათვის, კარავი, საქვიშე, ტალახის სამზარეულო, საძრომიალო, აიწონა-დაიწონა.

ბაღის შენობაში არის დარბაზი, სადაც ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა დახარჯონ ენერჯია: ირბინონ, იხტუნონ, იძრომიან. ამისათვის მათ აქვთ სპორტული ინვენტარი, ასევე თავისუფლად სარბენი სივრცე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

საბავშვოს ბაღის ჯგუფების, მათ შორის დარბაზის კედლები უნდა იყოს ნეიტრალურ ფერში შეღებილი. ნეიტრალური ფერის უნდა იყოს ასევე ავეჯი.

რჩევა

დაწესებულების ჯგუფის გვერდით არის მყუდრო და უფრო დიდ ოთახი, შესაძლებელია ცენტრები გადატანილ იქნეს აღნიშნულ სივრცეში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას დაგეგმილი აქვს სამღებრო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის მომზადება, შესაბამისი ადამიანური რესურსის მოძიება, კედლების შეღება და ავეჯის შეღება ან შეცვლა.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აქედან გამომდინარე - ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: -კურიკულუმი ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების პრინციპებს, რაც მოიცავს მრავალფეროვანი და მრავალგვარი რესურსების გამოყენებას, გარემოს შემოქმედებით მოწყობას და ბავშვზე ორიენტირებულ აქტივობათა დაგეგმვას.

დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში, დარბაზში არსებული საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება შემდეგში:

ჯგუფური ოთახები აღჭურვილია მრავალფეროვანი და მრავალგვარი რესურსებით, რომლებიც თემატურად არის ორგანიზებული ცენტრებში, ყველა რესურსი განლაგებულია ღიად და ბავშვების სიმაღლეზე, რაც ხელს უწყობს მათი დამოუკიდებელი მოქმედებების შესაძლებლობას.

გარემო ასახავს კურიკულუმის მოთხოვნებს ბავშვის აქტიური ჩართულობის, ინიციატივის მხარდაჭერისა და შემოქმედებითი თვითგამოხატვის შესაძლებლობების უზრუნველყოფის კუთხით.

დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში არსებული საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება შემდეგში:

ეზო აღჭურვილია ისეთი რესურსით, რომელიც ხელს უწყობს სენსომოტორული უნარების განვითარებას, თავისუფალ და ერთდროულად უსაფრთხო მოძრაობას, ჯგუფურ კომუნიკაციას და შემოქმედებით თამაშს. წარმოდგენილია: ბალანსისა და კოორდინაციისთვის განკუთვნილი საშუალებები, ადგილი ბურთის თამაშისათვის (ფეხბურთისა და კალათბურთისათვის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისათვის), საქანელები, ტალახის სამზარეულო, კარავი, საქვიძე, სასრილო, აიწონა-დაიწონა. ეზოში არსებული ყველა რესურსი ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის და განლაგებულია ისე, რომ მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად ჩაერთონ სხვადასხვა ტიპის აქტივობაში.

საგანმანათლებლო რესურსი ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია როგორც ჯგუფში, ასევე ეზოში, რაც ვლინდება: ყველა ტიპის რესურსი არის ბავშვის ზომის, განთავსებულია ბავშვის სიმაღლეზე, ღია თაროებზე. გარემოს ამგვარი ორგანიზება



ზრდის ბავშვების დამოუკიდებლობის ხარისხს, აძლევს შესაძლებლობას თვითონ მიიღონ გადაწყვეტილება, რა ტიპის რესურსით იმუშაონ ან ითამაშონ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ჯგუფური ოთახი მოწყობილია აქტიური და პასიური თამაშებისთვის, კონკრეტულად ეს ვლინდება შემდეგში: ოთახი დაყოფილია ცენტრებად, თითოეული ცენტრი აღჭრვილია მრავალფეროვანი და მრავალგვარი მზა და ბუნებრივი რესურსით. გარემოში წარმოდგენილია სივრცეები, კერძოდ მყუდრო ადგილი ხალიჩითა და ფარდით, სადაც ბავშვებს განმარტოვების საშუალება აქვთ. სივრცე იძლევა შესაძლებლობას მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობებისთვის, კონკრეტულად ეს ვლინდება შემდეგში: ჯგუფში განლაგებულია ბავშვის ზომის მაგიდები, რომლებიც საშუალებას იძლევა როგორც ინდივიდუალურად, ისე 2 - 4 ან მეტი ბავშვის ერთობლივ მუშაობისათვის; ოთახი თემატურ ცენტრებადაა დაყოფილი, მას უერთდება მეორე ოთახი, რომლის ფართობი იძლევა დიდ ჯგუფებში მუშაობას ისე, რომ ავეჯის გადაადგილება არ არის საჭირო. ბაღში არის ასევე დარბაზი.



აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები განსაზღვრავს ობიექტური დაკვირვების მეთოდს. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 11 ნოემბრის N118 ბრძანების მე-8 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, დაწესებულება იყენებს დაკვირვებისა და შეფასების შემდეგ მეთოდებს: ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები; მოკლე კითხვარები; ცხრილები ან სხვა შეფასების ინსტრუმენტები. აღნიშნული არ ეწინააღმდეგება კურიკულუმით განსაზღვრულს.

საგანმანათლებლო პერსონალი ინტერვიუში ასახელებს დაკვირვების აღნიშნულ მეთოდებს. აღმზრდელი აფიქსირებს, რომ ობიექტური დაკვირვება, ბავშვების შესახებ ახალი, საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტების დანახვა, დოკუმენტირება (ჩაწერა) და შემდგომ ანალიზი, საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის საფუძველი იქნება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს ბავშვის შეფასების შემდეგ მრავალფეროვან მეთოდებს: ჩანაწერების გაკეთება, მოკლე კითხვარების ჩეკლისტების, ცხრილების გამოყენება, პორტფოლიოს წარმოება.

შეფასება ემსახურება:

- თითოეული ბავშვის ინტერესის გამოვლენას;
- თითოეული ბავშვის საჭიროების გამოვლენას;
- თითოეული ბავშვის პროგრესის გამოვლენას;

შეფასება ემსახურება ბავშვის განვითარების ყველა სფეროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

შეფასების შედეგები გამოიყენება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და/ან მოდიფიცირებისათვის. კერძოდ, ის ასახვას პოულობს როგორც მოკლევადიანი გეგმების შედგენასა და კორექტირებაში, ასევე შეფასების ინსტრუმენტების ფორმის და პორტფოლიოს წარმოების ფორმატის შერჩევასა თუ შეცვლაში - მათ შორის შინაარსობრივ ცვლილებებშიც (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 11 ნოემბრის N118 ბრძანება).

აღმზრდელი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ შეფასებით მიღებული შედეგები დაეხმარება მას დაფიქრდეს საკუთარ პრაქტიკაზე, და და მთავრად საგანმანათლებლო პროცესი თითოეულ ბავშვს. შეფასება, როგორც რეფლექსიის საფუძველი, ხელს შეუწყობს მას განსაზღვროს, რამდენად ეფექტიანად ახერხებს ბავშვების ჩართულობის, ინტერესების წახალისებისა და პროგრესის ხელშეწყობას, და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს ყოველდღიურ პრაქტიკაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
.....
.....

რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს ოჯახის ჩართულობას. შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი ოჯახის ჩართულობით. ასევე, ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობასა და განხილვას დაწესებულება უზრუნველყოფს ინდივიდუალურად (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელი დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 11 ნოემბრის N118 ბრძანება).

საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ დაწესებულება ოჯახს განიხილავს შეფასების პროცესის მნიშვნელოვან თანამონაწილედ. აღმზრდელის განმარტებით, მშობლის მიერ შევსებული კითხვარები (დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული კითვარის სანიმუშო ფორმა, თუმცა დოკუმენტი უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებულ არ არის) და პირისპირ გასაუბრება საშუალებას მისცემს მშობელს წვლილი შეიტანოს საკუთარი შვილის შეფასების პროცესში. საუბარია იმ ინფორმაციაზე, რაც უკავშირდება ბავშვის ინტერესებს, ძლიერ მხარეებს, ქცევით თავისებურებებსა და განვითარების ეტაპობრივ მახასიათებლებს.

აღმზრდელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს მიდგომა შესაძლებლობას მისცემს მას უკეთესად გაიაზროს ბავშვის გამოცდილება არა მხოლოდ ბაღის გარემოში, არამედ ოჯახურ და სოციალურ კონტექსტშიც, რაც გააადვილებს ბავშვის პროგრესის მონიტორინგს და ინდივიდუალურ მიდგომათა შერჩევას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 11 ნოემბრის N118 ბრძანება
2. საბავშვო ბაღებში კურიკულუმის ჩარჩოს, დღის განრიგის, წლის და ყოველკვირეული სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 30 ოქტომბრის ბრძანება N112
3. ბავშვის აღზრდისა და განვითარების სტანდარტების დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 30 ოქტომბრის ბრძანება N113
6. შესყიდვის ხელშეკრულება N8; 16.12.2024
7. მიღება-ჩაბარების აქტი N251; 23.12.2024
8. მიღება-ჩაბარების აქტი 24.12.2024 (გაერთიანება-ბალი)
9. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

შეფასება:			
2.2. კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა “საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის” დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 11 ნოემბრის N118 ბრძანება. დოკუმენტის მიხედვით (მუხლი 4), კურიკულუმის შეფასების პროცესი ხორციელდება ორ წელიწადში ერთხელ, შესაბამისი სამუშაო ჯგუფის ან სტრუქტურული ერთეულის მიერ, რომელიც დირექტორის ბრძანებით შეიქმნება.

წესით განსაზღვრულია, რომ შეფასება დაფუძნებული იქნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს ანალიზზე, მშობლების უკუკავშირსა და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიაზე.

დადგენილია კონკრეტული მექანიზმები შეფასებისათვის, მათ შორის:

- ბავშვებზე დაკვირვების შედეგების ანალიზი,
- ბავშვების პორტფოლიოების ანალიზი,
- აქტივობების, რუტინებისა და ტრანზიციების შეფასება,
- გეგმების შინაარსობრივი ანალიზი,
- ბავშვთა ჩართულობის ხარისხისა და გამოყენებული მიდგომების შეფასება.

დადგენილია ფიზიკური გარემოს შეფასების ფორმატიც (შიდა და გარე სივრცე), რაც ეფუძნება როგორც პერსონალის თვითრეფლექსიასა და დაკვირვებას, ასევე მშობლების უკუკავშირს.

აღნიშნული რეგულაციის არსებობა მიუთითებს, რომ დაწესებულება შემუშავებული სისტემის შესაბამისად გეგმავს კურიკულუმის შეფასების ციკლურ, სისტემატურ მოდელს, რაც შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



.....
.....
რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
2. დაწესებულება ანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა “საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის” დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 11 ნოემბრის N118 ბრძანება, რომელიც განსაზღვრავს როგორც ცვლილების საფუძვლებს, ასევე ცვლილებების განხორციელების პროცედურულ მექანიზმს (მუხლი 5.).

დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმში ცვლილების განხორციელების საფუძველია შეფასების პროცესის შედეგად მიღებული მიგნებები ან/და რეკომენდაციები. დადგენილია, რომ ცვლილებები შეიძლება იყოს წერტილოვანი ან მასშტაბური ხასიათის.

წერტილოვანი ცვლილებები მოიცავს ისეთი მიმართულებების გადახედვას, როგორცაა:

- თემატური შინაარსის კორექტირება,
- კურიკულუმის მიზნების დაზუსტება,
- დაკვირვების ახალი ინსტრუმენტების დამატება,
- საგანმანათლებლო რესურსისა და ფიზიკური გარემოს ცვლილებები,
- დღის განრიგის ან დროითი სტრუქტურის კორექტირება,
- ოჯახისა და თემის ჩართულობის მექანიზმების გაუმჯობესება და სხვა.

დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ წერტილოვანი ცვლილებები ფორმდება დირექტორის ბრძანებით.

რაც შეეხება მასშტაბურ ცვლილებებს, დოკუმენტი განსაზღვრავს, რომ ისინი უკავშირდება კურიკულუმის სრულად შეცვლას ან ახალი კურიკულუმის დამატებას/ამოღებას. ასეთი ცვლილება განხორციელდება კონკრეტული ეტაპების დაცვით, მათ შორის:

- ახალი კურიკულუმის შერჩევის წესის დაცვით ან ჩარჩოს შექმნით,
- გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფით.

აღნიშნული მოწმობს, რომ დაწესებულება მიზნობრივად და სტრუქტურირებულად აფასებს კურიკულუმის შინაარსობრივ ეფექტიანობას და შემუშავებული აქვს მექანიზმები ცვლილებების დაგეგმვის, განხორციელებისა და დოკუმენტური გაფორმებისთვის.

ინტერვიუს დროს საგანმანათლებლო პერსონალი (აღმზრდელები, მეთისტი) აღნიშნავს, რომ მათთვის კარგად არის ცნობილი კურიკულუმში ცვლილებების განხორციელების მექანიზმი და ის საფუძვლები, რის გამოც შეიძლება დაგეგმილი პროცესი გადაიხედოს. მათი თქმით, ცვლილებები შესაძლებელია განხორციელდეს როგორც თემატიკის, დღის განრიგის ან აქტივობების შინაარსის დონეზე, ასევე უფრო ფართო მასშტაბით - მაგალითად, ახალი კურიკულუმის დანერგვით. პერსონალი აცნობიერებს, რომ ასეთი ცვლილებები უნდა ეფუძნებოდეს შეფასების შედეგებს, დაკვირვებებს, მშობლების უკუკავშირსა და საკუთარ პრაქტიკაზე დაფიქრებას. ისინი მზად არიან, საჭიროების შემთხვევაში, გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები და მონაწილეობა მიიღონ ცვლილებების ინიცირებასა და განხილვაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ აბაშის . სკოლამდელი და სკოლისგარეშე საადმინისტრაციო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 11 ნოემბრის N118 ბრძანება
2. ბავშვის აღზრდისა და განვითარების სტანდარტების დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საადმინისტრაციო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 30 ოქტომბრის ბრძანება N113
3. ოჯახთან და თემთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საადმინისტრაციო დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 06 ივლისის ბრძანება N54;
4. მშობელთა კითხვარები (დანართი 31)

შეფასება:			
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღია ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია (საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საადმინისტრაციო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 30 ოქტომბრის ბრძანება N108).

მეთოდოლოგიაში იკითხება, რომ დაწესებულება ითვალისწინებს ოჯახთან და თემთან თანამშრომლობას, წინასწარ გეგმავს აქტივობებს (საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 30 ოქტომბრის N108 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტი და მე-5 მუხლი).

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ასევე ოჯახთან და თემთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმა (ოჯახთან და თემთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 06 ივლისის ბრძანება N54) , რომელიც ითვალისწინებს მშობლებთან რეგულარულ კომუნიკაციას, მათ ინფორმირებას ბავშვთა განვითარების თავისებურებებისა და უფლებების შესახებ, მშობელთა ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში, აქტივობების დაგეგმვასა და შეფასებაში. გეგმა ასევე მოიცავს თემის წარმომადგენლებთან, სკოლებთან, ბიბლიოთეკებთან, კულტურისა და სპორტის ცენტრებთან თანამშრომლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ოჯახთან და თემთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმა (ოჯახთან და თემთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2023

წლის 06 ივლისის ბრძანება N54), რომელიც განსაზღვრავს მშობლებისა და თემის წარმომადგენლების მონაწილეობას ბაღის საქმიანობაში, მათ შორის კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში როგორც შიდა, ისე გარე სივრცეში.

დოკუმენტში მითითებულია მშობელთა ჩართულობა ბავშვების განვითარების პროცესში, შეფასების შედეგების გაცნობასა და აქტივობების დაგეგმვაში, ასევე ურთიერთობა თემში მოქმედ ორგანიზაციებთან (სკოლა, ბიბლიოთეკა, მუზეუმი და სხვ.). თუმცა, დოკუმენტაციაში ნაკლებად ჩანს კონკრეტული მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს მშობლებისა და თემის წარმომადგენლების ჩართულობის წახალისებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

სასურველია, რომ დაწესებულება არ შემოიფარგლოს მხოლოდ თემისა და მშობლების მონაწილეობის დაგეგმვით, არამედ უზრუნველყოს მათი აქტიური ჩართულობა სხვადასხვა მექანიზმით, როგორცაა: მადლობის სერტიფიკატები, სიმბოლური ჯილდოები, ინფორმაციის გამოქვეყნება საინფორმაციო დაფაზე ან ვებგვერდზე.

სასურველია, ასევე, დაწესებულებამ რეგულარულად მოიწვიოს მშობლები და თემის წარმომადგენლები ღია შეხვედრებზე ან ერთობლივ აქტივობებში, რაც კიდევ უფრო აამაღლებს მათ მოტივაციას უფრო აქტიურად ჩაერთონ საგანმანათლებლო პროცესში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს კომუნიკაციის მეთოდები და არხები (საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 30 ოქტომბრის N108 ბრძანება).

შერჩეული არხები არის მრავალფეროვანი: პირისპირ შეხვედრები, დისტანციური შეხვედრები საინფორმაციო დაფები, მოკლე ტექსტური შეტყობინებები, სატელეფონო ზარები, ელექტრონული ფოსტა, დაწესებულების ვებგვერდი, დაწესებულების ბლოგი (მე-4 მუხლის მეორე პუნქტი).

შერჩეულ არხებს დაწესებულება იყენებს თემთან ურთიერთობისას.

შერჩეულ არხებს დაწესებულება იყენებს ოჯახთან ურთიერთობისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 30 ოქტომბრის N108 ბრძანება
2. ოჯახთან და თემთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 06 ივლისის ბრძანება N54
3. მშობლეთა კითვარები (დანართი 31)



შეფასება:			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა მნიშვნელოვანი თემის შესახებ. ოჯახთან და თემთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმაში (ოჯახთან და თემთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 06 ივლისის ბრძანება N54) პასუხისმგებელი პირებისა და პერიოდულობის მითითებით გაწერილია, რომ ბაღის ხელმძღვანელები და მშობელთა საკონსულტაციო საბჭო სისტემატურად ახორციელებენ კომუნიკაციას მშობლებთან, მათ შორის, ცნობიერების ამაღლების მიზნით ბავშვთა უფლებების, ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკის შესახებ. დოკუმენტში ასევე მითითებულია, რომ მშობლების ინფორმირება ხდება როგორც პირდაპირი შეხვედრებით, ისე საინფორმაციო დაფებისა და ვებგვერდის მეშვეობით, და პროცესში მონაწილეობს როგორც აღმზრდელი პერსონალი, ისე ბაღის ხელმძღვანელობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



.....
.....
რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი („საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 11 ნოემბრის ბრძანება N118), რომლის მიხედვითაც დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობასა და განხილვას. დოკუმენტის თანახმად, ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების პროცესის შემდგომ, შედეგების გაზიარება ხდება ინდივიდუალურად (მუხლი 9.).

ასევე, აღმზრდელი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან დაეხმარებათ მას, უკეთ გააცნონ ოჯახს ბავშვის განვითარებაში გამოვლენილი პროგრესი, ინტერესები ან საჭიროებები და ერთად განსაზღვრონ შემდგომი მხარდაჭერის გზები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
რჩევა
.....
.....



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ოჯახთან და თემთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმა (ოჯახთან და თემთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 06 ივლისის ბრძანება N54), რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილია ბალის ღია და საჯარო კომუნიკაცია თემის წარმომადგენლებთან და თემში მოქმედ სერვისებთან (როგორცაა: სკოლა, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, კულტურისა და სპორტის ცენტრები). დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი ამ სტრუქტურების ჩართულობა ბალის განვითარების პროცესში და კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაში. აღნიშნული ადასტურებს, რომ ბალი გეგმავს ადგილობრივ რესურსებზე დაყრდნობით სწავლებისა და აღზრდის პროცესის გამრავალფეროვნებასა და გაღრმავებას, რაც ემსახურება თემთან მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობას და საგანმანათლებლო გარემოს გაფართოებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს, რაც ნაწილობრივ დასტურდება მშობელთა კითხვარის ფორმების არსებობით. ფორმები საშუალებას იძლევა, ნაწილობრივ შეგროვდეს მშობელთა მოსაზრებები და შეფასებები.

შეფასების შედეგებიდან გამომდინარე საჭიროებები ჯერ სრულად არ არის გაწერილი და გაანალიზებული, თუმცა დაწესებულების მეთოდისტი და აღმზრდელები გეგმავენ, რომ უკუკავშირის ფორმების საფუძველზე ჩამოაყალიბონ შეფასების სტრუქტურირებული მიდგომა.

ამ ეტაპზე ცვლილება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა ინტერვიუებიდან იკვეთება (ასევე გაწერილია მექანიზმში) დაწესებულება გეგმავს განახორციელოს ცვლილებები მშობელთა უკუკავშირისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია უახლოეს გეგმიურ ციკლში (შემდგომი გრძელვადიანი დაგეგმვის ეტაპზე), რაც მეთოდოლოგიის მიხედვით სრულად შეესაბამება შეფასების ციკლის პრინციპებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

რეკომენდაცია

.....

რჩევა

სასურველია, შეფასების პრაქტიკა დაიხვეწოს და მშობელთა/თემის წარმომადგენელთა უკუკავშირის საფუძველზე სისტემატურად აისახოს კურიკულუმის და გეგმების შინაარსში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 30 ოქტომბრის N108 ბრძანება
2. ოჯახთან და თემთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 06 ივლისის ბრძანება N54
3. მშობლეთა კითვარები (დანართი 31)

შეფასება:			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილია ორგანიზაციის სტრუქტურა/ორგანოგრამა, რომელიც დამტკიცებულია 2024 წლის 27 დეკემბრის N 132 ბრძანებით ;- „ ს/ბაღების ორგანოგრამისა და საბავშვო ბაღის პერსონალის მართვის მარეგულირებელი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ”.

2024 წლის 27 დეკემბრის N 132 ბრძანებაში- ს/ბალების ორგანოგრამისა და საბავშვო ბაღის პერსონალის მართვის მარეგულირებელი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ - გაწერილია სტრუქტურული ერთეულები/პირები და მათი ფუნქციები. სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილია სამტატო ნუსხა, როლის თანახმადაც დაწესებულებაში დასაქმებულია შემდეგი პირები: საბავშვო ბაღის უფროსი, ორი აღმზრდელ პედაგოგი; ორი აღმზრდელი; ერთი მუსიკის მასწავლებელი; ორი აღმზრდელის თანაშემწე ორი მზარეული; ერთი დამლაგებელი და ორი დარაჯი. დასაქმებულთა პოზიციები ფუნქციები და პერსონალის რაოდენობა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და როგორც დაწესებულების თვითშეფასებაშია გაცხადებული ადამიანური რესურსი პროცესის განხორციელების შესაბამისია. სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი სამტატო ნუსხა აკმაყოფილებს იმ პროცესების შესრულებას რაც გაწერილი აქვს 4.2. კომპონენტში

დაწესებულების შინაგანაწესში, პერსონალის მართვის დოკუმენტში არ არის გაწერილი უფლება-მოვალეობების გადანაწილების საკითხები, არ არის გაწერილი ფუნქციების დროებით შეთავსების საკითხები, მაგრამ ეს საკითხი რეგულირდება 2025 წლის 16 აპრილის N 31 ბრძანებით,- „ პროცესების აღმწერებისა და ხარისხის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ”, მასში იკითხება პირების/სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები.

